## საინფორმაციო ცნობა

# [ს]აბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1986 წლის 16 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუ-[ნი]სტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლე-[ნ]უმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარე-[ბი]ს 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა და პარტიული [ო]რგანიზაციების ამოცანები მისი რეალიზაციის საქმეში;

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პო-[ლ]იტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1986 წლის 10-11 [ი]ვნისის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები.

ამ საკითხთა შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ [ც]ენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. [გ]ორბაჩოვმა.

პლენუმზე მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონა-[წი]ლეობდნენ:

ამხანაგები ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ მი-[ნი]სტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაი-[ნი]ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, [ბ]. ნ. ელცინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირ-[ვე]ლი მდივანი, ვ. მ. მალიხინი — ვოლგის სსრ კავშირის 50 [წ]ლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის ელექტრი-[კო]სთა ბრიგადირი, ვ. გ. კოლესნიკოვი — ელექტრონული [მ]რეწველობის მინისტრი, ი. ფ. სოლოვიოვი — სკკპ ლე-[ნი]ნგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ვ. კოლპაკოვი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტ-რი, ნ. ნ. სლიუნკოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტ-რალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ნ. ტროფიმოვი — ყაზახეთის კომპარტიის აქტიუბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. მურახოვსკი — სსრ კავშირის სა-ხელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე, ნ. ს. ერმაკოვი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირვე-ლი მდივანი, ვ. ნ. გოლუბევა — ივანოვოს ს. მ. კიროვის სახელობის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი, ბ. კ. პუგო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. კალაშნიკოვი — სკკპ ვოლგოგრადის საოლ-ქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. შკა-ბარდნია — ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის სა-შუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი, ჯ. ი. პატია-შვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-ტეტის პირველი მდივანი, ბ. ვ. ბალმონტი — ჩარხსაშენე-ბელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის ეკონომიკური და სო-ციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგ-მის პროექტი და ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩა-მოყალიბებული დებულებები და სკკპ ცენტრალური კომი-ტეტის პოლიტბიუროს დასკვნები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სკკპ XXVII ყრილობაზე შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციას. მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეტანილ იქნეს ხუთწლიანი გეგმა სსრ კავ-შირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა კავშირის მშრო-მელებისადმი მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა ვარშავის ხელშეკრუ-ლების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულ-ტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგებს და მთლიანად მოიწონა ამ თათბირზე წარგზავნილი საბჭოთა დე-ლეგაციის საქმიანობა.

პლენუმის მიერ აღნიშნულ საკითხებზე მიღებული დად-გენილებანი პრესაში ქვეყნდება.

პლენუმზე განიხილეს და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადებანი ორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვე-ვის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწყობასთან არის დაკავშირებული.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ივნისი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 119 (9210) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# [სა]ქართველოს IX სპარტაკიადა

## მდგომარეობა 15 ივნისისათვის

[ს]პორტის ცალკეულ სახეობებში ჩატარებული შეჯიბრებების [შ]ემდეგ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯგუფი | | 14. ქარელი | 166 |
| თბილისი | 10679,5 | 15. საჩხერე | 160 |
| ქუთაისი | 6.656,5 | 16. ონი | 154 |
| აფხაზეთი | 5.569 | 17. გარდაბანი | 151,5 |
| აჭარა | 4402,5 | 18. ბორჯომი | 149,5 |
| რუსთავი | 2.367,6 | 19. ჩოხატაური | 143 |
| სამხ. ოსეთი | 963,5 | 20. ბოლნისი | 136 |
| | | 21. ყვარელი | 114 |
| ჯგუფი | | 22-23. ლაგოდეხი | 90 |
| ფოთი | 2.194 | 22-23. მაიაკოვსკი | 90 |
| გორი | 941,5 | 24. ახალციხე | 82 |
| [წ]ყალტუბო | 841,5 | 25. ვანი | 80 |
| ზუგდიდი | 572,5 | 26. ხაშური | 72,5 |
| ტყიბული | 562,5 | 27. დმანისი | 72 |
| ჭიათურა | 336,5 | 28. წითელწყარო | 63 |
| მარნეული | 8 | 29. გურჯაანი | 59,9 |
| | | 30. ლენტეხი | 52,5 |
| ჯგუფი | | 31. წულუკიძე | 52 |
| მცხეთა | 826 | 32. ჩხოროწყუ | 44 |
| მახარაძე | 489,5 | 33. ორჯონიკიძე | 42,5 |
| ზესტაფონი | 445,5 | 34. თერჯოლა | 39 |
| ზუგდიდი | 432 | 35. ხობი | 33 |
| კასპი | 396 | 36-37. გეგეჭკორი | 14 |
| სამტრედია | 366 | 36-37. სიღნაღი | 14 |
| თელავი | 350,5 | 38. ამბროლაური | 10 |
| დუშეთი | 307 | 39. ადიგენი | 7 |
| ცხაკაია | 306 | 40. აბაშა | 6 |
| ახმეტა | 304 | 41. წალენჯიხა | 5,5 |
| საგარეჯო | 267,5 | 42. თიანეთი | 5 |
| გორი | 254,5 | 43. ლანჩხუთი | 0 |
| მესტია | 188,5 | 44. წალკა | 0 |

## ელვა-ინფორმაცია

[უ]ნგრეთში გაიმართა ევროპის [თასი]ს მსროლელთა პირველობა [იუნი]ორთა შორის. ამ შეჯიბრებაში [ოქრო]ს მედალი მოიპოვა თბილისელ-[მა ნი]ნო ხალუქვაძემ. პირად პირ-[ველ]ობაში მცირე კალიბრიანი პი-[ს]ტოლეტით სროლაში (მპ-5) ნი-ნომ 582 ქულა მოაგროვა და მე-8 ადგილი დაისაკუთრა. ამ დისციპ-ლინაში გუნდური გამარჯვება სა-ბჭოთა ნაკრებმა იზეიმა და ნინო ხალუქვაძესაც, ცხადია, ოქროს მე-დალი გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა ასპარეზობაზე იუ-ნიორთა ახალი მსოფლიო რეკო-რდი დაამყარა — 1744, რომელიც 7 ქულით აღემატება ძველ მიღ-წევას.

# კეთილი ნების თამაშები

მოსკოვი, 4-20 ივლისი 1986 წელი.

**კეთილი ნების თამაშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მი-ერ მშვიდობის საერთაშორისო წლად აღიარებული 1986 წლის სპო-რტული სიმბოლოა.**

ახლა, ისე როგორც არასდროს, გაიზარდა ყოველგვარი კეთილმო-სურნეობის, ურთიერთსარგებლო-ბაზე დაფუძნებული ინიციატივისა და კონტაქტების ფასი. ამ საქმეში დიდი ადგილი ეთმობა სპორტულ კავშირს, ისეთ ასპარეზობებს, რო-გორიცაა კეთილი ნების თამაშები. თავად სახელი ამ შეჯიბრებისა, რო-მლის მსგავსიც ჯერ არ იცის მსო-ფლიო სპორტის ისტორიამ, გამს-ჭვალულია ღრმა აზრით. მასში მკვეთრადაა გამოხატული სპორტ-სმენების, მწვრთნელების, ჟურნა-ლისტების მისწრაფება — თავისი წვლილი შეიტანონ მშვიდობისა და ურთიერთთანამშრომლობის საქ-მეში.

თამაშების მთავარი იდეა ასეთ-ნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ახა-ლგაზრდობის გაერთიანებას, ურ-თიერთგაგების ჩამოყალიბებას, და-ეხმარონ სხვადასხვა ქვეყნებისა და კონტინენტების ადამიანებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. არ შეიძლე-ბა არ დაეთანხმო ამერიკული ტე-ლეკომპანიის ტი-ბი-ეს-ის პრეზი-დენტის, ამ შეჯიბრებების ერთ-ერთი ორგანიზატორის ტედ ტერ-ნერის სიტყვებს, რომელმაც ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ თამაშები იქნება დემონსტრირება ჰარმონიი-სა, რომელიც შეიძლება არსებობ-დეს ერებს შორის, მიუხედავად ყოველგვარი განსხვავებისა.

მართლაც, სპორტს ეკისრება კეთილშობილური, ოლიმპიური ქა-რტიით განმტკიცებული მისია — იყოს ხალხთა შორის „კეთილი ნების დესპანი“.

ტი-ბი-ეს-ის კომპანიის გარდა, რომლის წარმომადგენელია მისი აღმასრულებელი დირექტორი რო-ბერტ ვუსლერი, ამერიკელთა მხრი-დან თამაშების ჩატარებით დაინ-ტერესება გამოხატეს სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულმა ფედერაციებმა. საბჭოთა მხრიდან შეჯიბრებების ორგანიზატორები არიან ფიზიკური კულტურისა და სპორტისა და ტელევიზიისა და რა-დიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტები. თამაშების ჩატარებას მხარს უჭერენ ორივე ქვეყნის ერ-ოვნული ოლიმპიური კომიტეტები, საბჭოთა და ამერიკული სპორტუ-ლი საზოგადოებრიობა.

შესაბამისი შეთანხმების ხელ-მოწერის დროს, 1985 წლის 6 აგ-ვისტოს, გადაწყდა, რომ კეთილი ნების პირველი თამაშები ჩატარ-დება საბჭოთა კავშირში, ხოლო შემდგომი, ოთხი წლის შემდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თამაშებში მონაწილეობის მისა-ღებად მოწვეული არიან 64 ქვეყ-ნის სპორტსმენები. 50 ქვეყანამ უკვე გამოგზავნა თანხმობა. სულ მარტო უცხოეთიდან მოსალოდნე-ლია დაახლოებით 3 ათასი სპორ-ტსმენისა და მწვრთნელის ჩამოს-ვლა. ყველაზე ხალხმრავალნი იქნე-ბიან საბჭოთა კავშირისა და ამერი-კის შეერთებული შტატების გუნ-დები — თითოეულ მათგანში 500-ზე მეტი სპორტსმენი. მონაწილეთა შორის იქნებიან აგრეთვე ყველა სოციალისტუ-რი ქვეყნის წარმომადგენლე-ბი. გარდა ამისა, მოსალოდნე-ლია ავსტრალიის, ავსტრიის, დი-დი ბრიტანეთის, ესპანეთის, ახა-ლი ზელანდიის, საფრანგეთის, გე-რმანიის ფედერაციული რესპუბ-ლიკის, იაპონიის, ფინეთისა და მრავალი სხვა ქვეყნის სპორტ-სმენთა მონაწილეობა. ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები. მოსკოვ-ში ჩამოსასვლელად ემზადებიან სპორტის ისეთი „ვარსკვლავები“ როგორიც არიან ამერიკელები ე. მოზესი, უ. ბენზსი, უ. ჰონი (გდრ), შვედი პ. შებერგი, ს. კოს-ტადინოვი (ბულგარეთი), ი. კრა-ტოხვილოვა (ჩეხოსლოვაკია), მ. ოტი-პეიჯი (იამაიკა), სალაჰი (ჯი-ბუტი), რ. შვანი (ეარ-ი), ხალიფა (სუდანი). ყველას ჩამოთვლა უბ-რალოდ შეუძლებელია.

ივლისში საბჭოთა კავშირში შე-იკრიბება მსოფლიოს მძლეოსნური სამყაროს მთელი ელიტა, გამოჩე-ნილი მოცურავეები, მოკრივეები, ძალოსნები, ველომრბოლელები, სპორტული და მხატვრული ტან-ვარჯიშის ოსტატები. ამ სახეო-ბათა გარდა პროგრამაში შეტანი-ლია შეჯიბრებები აკადემიურ ნიჩ-ბოსნობაში, კალათბურთში (ქალე-ბი), თავისუფალ ჭიდაობაში, წყა-ლბურთში, ფრენბურთში, ხელბუ-რთში, ძიუდოში, წყალში ხტომა-ში, თანამედროვე ხუთჭიდში, აფ-როსნობაში, ჩოგბურთში. გაიმარ-თება აგრეთვე ფიგურული სრია-ლის ოსტატთა საჩვენებელი გამო-სვლები, ორი საჩვენებელი მატ-ჩი მოტობოლში საბჭოთა კავშირი-სა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის.

კეთილი ნების თამაშები გაიმარ-თება სპორტის სხვადასხვა სახეო-ბის საერთაშორისო ფედერაციების ეგიდით. ეს შეჯიბრებები მათ თა-ვიანთ კალენდრებში შეიტანეს. ეს დაადასტურეს საერთაშორისო ფედერაციების პრეზიდენტებმა (ფრენბურთის — რ. აკოსტა, ტან-ვარჯიშის — ი. ტიტოვი, მძლეოს-ნობის — პ. ნებიოლო, ხელბურ-თის — ე. ლანცი, თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის — ს. ტოფალტი და სხვ.

რაც შეეხება „მოქმედების ად-გილს“, სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მოსკოვის ცნობილ ოლიმპიურ სარბიელებზე, იურმა-



მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, სადაც საზეიმოდ გაიხსნება კეთილი ნების თამაშები.

იხ. მე-4 გვ.

# XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

17.XI. მეხიკო. იტალია — საფრანგეთი 0:2

17.VI. მონტერეი. გფრ — მაროკო 1:0

მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 21 და 22 ივნისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ორი ეტაპის შემდეგ

**ჩერნოვცი.** გრძელდება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალთა მრავალდღიანი ველორბოლა. პროლოგის შემდეგ პირველ ეტაპზე ველოსიპედისტები ჯგუფურ რბოლაში ასპარეზობდნენ (90 კმ). აქ ყველას რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ა. იაკოვლევამ აჯობა — 2:30.15.

მეორე ეტაპის სიგრძე 70 კილომეტრი იყო. გამარჯვება კვლავ ა. იაკოვლევამ მოიპოვა (1:40.40), რომელიც ორი ეტაპის ჯამში ასპარეზობას დამაჯერებლად ლიდერობს — 4:17.17.

გუნდურ ჩათვლაში უზბეკეთის წარმომადგენლები დაწინაურდნენ — 17:17. 05. მეორე ადგილზეა ლიტვის (17:17.17), მესამეზე — უკრაინის გუნდები — 17:20.25.

## საქართველოს IX სპარტაკიადა

# უმთავრესია სტაბილურობა

**მსროლელს** ასპარეზობის დროს მარტო მეტოქეებთან არ უხდება ბრძოლა, უმთავრესი ჭიდილი მას საკუთარ თავთან, საკუთარ ნერვებთან აქვს. ალმაფრენის წუთები არავისთვის უცხო არ არის, მაგრამ სნაიპერის უპირველესი მოკავშირე მაინც დინჯი გონება და აუღელვებელი ხასიათია. სწორედ ამიტომ, გამოცდილი მწვრთნელები მსროლელის ცალკეულ წარმატებებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მათთვის მთავარი სტაბილურობაა.

და მაინც, საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გამართულმა მესტენდურეთა შეჯიბრებამ, რომელიც მახარაძეში ჩატარდა, კმაყოფილი დატოვა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელები. გამარჯვებულებმა მართლაც მაღალი შედეგები აჩვენეს: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა არჩილ საბედაშვილმა ადგილიდან სროლაში 195 ქულა მოაგროვა; ამდენივე სამიზნე დაამსხვრია მრგვალ სტენდზე სროლაში გამარჯვებულმა ბენო ალავერდოვმა, რომელსაც ერთი ქულა დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივამდე. თუ ამას დავუმატებთ, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ჩვენი გუნდის წამყვანი მსროლელები დავით ქვათაძე და შოთა თავაძე (ისინი საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდნენ), ნათელი გახდება, რას ემყარებოდა ჩვენი მწვრთნელების ოპტიმიზმი.

თუმცა გუნდის ხელმძღვანელები თვითონაც აღიარებენ, რომ ჯერ წარმატებებზე ლაპარაკი ადრეა. ახალგაზრდა მსროლელთა შედეგები, შეიძლება ითქვას, მათი პოტენციური შესაძლებლობების დემონსტრაცია გახლდათ. ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს უფრო საპასუხისმგებლო ასპარეზობებზე. ამის საშუალება მალე მიეცემათ — ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვში დაიწყება მესტენდურეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც კარგი რეპეტიცია იქნება IX საკავშირო სპარტაკიადის წინ.

მახარაძეში ურიგოდ არც გუნდის სხვა კანდიდატები გამოსულან. მართალია, შედეგები პირად მიღწევებზე დაბალი იყო, მაგრამ მწვრთნელებს მათი გამოსვლა ამ პერიოდისათვის დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ საპრიზო ადგილებზე მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები გავიდნენ. გამონაკლისი იყო ქუთაისელი ვიტალი ტუკვაძე. სხვა რაიონის სპორტსმენები ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად აუმჯობესებდნენ შედეგებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი უმრავლესობა (განსაკუთრებით ზუგდიდელი და მახარაძელი მესტენდურები) სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა დიდ სარბიელზე, ვფიქრობთ, ეს სავსებით კანონზომიერია.

**მანანა ჯარიაშვილი.**

ტექნიკური შედეგები:

**ადგილიდან სროლა:** 1. ა. საბედაშვილი — 195; 2. შ. ჯინიკაშვილი — 188; 3. ბ. კობიძე (ყველა — ასკ) — 187.

**მრგვალი სტენდი:** 1. ბ. ალავერდოვი (ასკ) — 195; 2. დ. მანჯგალაძე („ლოკომოტივი") — 189, 3. ვ. ტუკვაძე („განთიადი") — 184.

**გუნდური:** 1. თბილისი — 328, 2. ქუთაისი — 169; 3. მახარაძე — 155; 4. ზუგდიდი — 126, 5. ბათუმი — 78.

## საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

# ბრძოლა დაიწყო

**წყალტუბოში** სტარტი აიღო მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა ტურნირმა ხელბურთში. ასპარეზობაში (მთავარი მსაჯი ტრისტან გულდიანი) ჭაბუკთა და გოგონათა 8-8 გუნდი გამოდის.

პირველ ტურში თბილისელ ჭაბუკთა გუნდმა ანგარიშით 25:11 დაამარცხა რუსთავის ნაკრები, ქუთაისელებმა მოუგეს აჭარის გუნდს — 38:35, თელაველებმა — აფხაზეთის წარმომადგენლებს—17:13; სამტრედიელებმა — სამხრეთ ოსეთის კოლექტივს — 21:20.

გოგონათა შეხვედრები ასე დამთავრდა: წყალტუბო — აჭარა— 24:11, ქუთაისი — აფხაზეთი — 14:12, თბილისი — სამტრედია — 26:11, სამხრეთ ოსეთი — ფოთი — 14:11.

შეჯიბრების მონაწილენი შეფი ორგანიზაციების დახმარებით შინაარსიანად ატარებენ თავისუფალ დროს — ეცნობიან წყალტუბოსა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობებს.

სასპარტაკიადო ტურნირი 22 ივნისამდე გასტანს.

**მურთაზ კანკაძე,**
**„ლელოს" კორ. ტელეფონით.**



# ქართველი მოჭადრაკე ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი

**ამ ბოლო დროს ქართველი დიდოსტატები ხშირად მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებში იქაურ საჭადრაკო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად — ეხმარებიან და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. სწორედ ასეთი მისიით იყო ამას წინათ ესპანეთში საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე.**

**თბილისში დაბრუნებული ქართველი დიდოსტატი რედაქციაში გვეწვია.**

● **რამ განაპირობა თქვენი გამგზავრება ესპანეთში?**

— შარშან ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ და ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა რომან ტორანმა მთხოვა საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ნაკრების მომზადებაში დავხმარებოდი. ამის თაობაზე მან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტსაც მიმართა. ასე აღმოვჩნდი 1986 წლის მარტში სევილიაში, როგორც ესპანელთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი. მასპინძლები ძალიან თბილად შემხვდნენ. ვითარების გაცნობის მიზნით მონაწილეობა მივიღე მალაგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ყველა ჩემი მომავალი „მოწაფე" თამაშობდა.

რა თქმა უნდა, ძალიან მოვინდომე. პირველ ხუთ ტურში 4,5 ქულა მოვაგროვე, საბოლოოდ 10-დან 7,5 ქულით დაუმარცხებლად დავიკავე პირველი ადგილი. შემდეგ მადრიდის ცნობილ სპორტულ ბაზაზე მოეწყო ოცდღიანი შეკრება ნაკრების ექვს კანდიდატთან, რომელთა შორის იყვნენ დიდოსტატები ბელონი (პია კრამლინგის მწვრთნელი) და ფერნანდესი. დღეში თითქმის რვა საათს ვმეცადინეობდით. გუნდის წევრებს გავაცანი თანამედროვე სადებიუტო სიახლენი, მათი მომავალი მეტოქეების შემოქმედება და სხვა. შემდეგ ერთი კვირა დავყავი ლას-პალმასში, სადაც ნაკრების ორი კანდიდატი ცხოვრობს. იქაც წავიკითხე ლექციები.

● **რომელ ენაზე საუბრობდით?**

— ესპანურზე. წასვლამდე გულმოდგინედ ვეუფლებოდი ამ ენას.

● **კიდევ როდის აპირებთ ესპანეთში გამგზავრებას?**

— ივლისში. ჯერ ნაკრების წევრებთან ერთად ბასკონიის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში მივიღებ მონაწილეობას, მერე ჩემს შეგირდებს თეორიაში ვამეცადინებ, ნოემბერში კი გუნდს გავყვები ოლიმპიადაზე, რომელიც ამჯერად არაბთა გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში გაიმართება.

● **რამდენადაც ვიცით, თქვენ დავალებული გქონდათ საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის სახელით მონაწილეობა მიგეღოთ ევროპის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაციის კონგრესში.**

— დიახ. კონგრესი ანდალუზიის ქალაქ ბენიდორმში გაიმართა. იმის გამო, რომ ესპანეთში ჭადრაკის განვითარება აღმავლობის გზას დაადგა, გადაწყდა 1987 წლის დეკემბერში ამ ქალაქმა უმასპინძლოს ევროპის მორიგ გუნდურ პირველობას.

აქვე გადაწყვიტეს შემოიღონ ევროპის ქალთა გუნდური პირველობა. ამის შესახებ წინადადება შემოიტანა საბერძნეთის ფედერაციის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ოსტატმა მაკროპულოსმა. სხვათა შორის, მან თქვა, რომ აზრი ამის შესახებ ახალშერთულმა მეუღლემ რუმინელმა დიდოსტატმა მარია პოგაევიჩმა ჩააგონა. რა თქმა უნდა, ამ წინადადებას მეც დავუჭირე მხარი. თითოეულ გუნდში სამი ქალი იქნება, მაგრამ გუნდს სათადარიგო მოთამაშე არ ეყოლება. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდება.

● **საინტერესოა, როგორ შეფასდა თქვენი საქმიანობა?**

— ამჯერად ესპანეთში 42 დღე დავყავი. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ფოტოსურათები, წერილები ჩვენი მუშაობის შესახებ. ვფიქრობ, მასპინძლები კმაყოფილი დარჩნენ, რაკი კვლავ მიმიწვიეს.

ესაუბრა
**თენგიზ გიორგაძე.**

## სპორტული ორიენტირება

# თბილისელებმა ყველას აჯობეს

**თბილისში,** ლენინის სახელობის სტადიონზე, ფუნიკულიორის პლატოზე და ლისის ტბის ტყე-პარკში გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი სპორტულ ორიენტირებაში.

შეჯიბრება როგორც გოგონებისთვის, ისე ჭაბუკებისთვის ოთხ-ოთხ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის I და II, აფხაზეთის, ქუთაისის, ლაგოდეხისა და გორის გუნდები. საკონტროლო ნორმატივებში ასპარეზობის შემდეგ ფუნიკულიორის პლატოზე გაიმართა შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბიჭებში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 10 წლის დავით გოგავამ, 13 წლის ზურაბ ავალიანმა (იგი წელს მესამედ გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი) და 15 წლის დავით ბიკაშვილმა. 17 წლის ჭაბუკებმა მოუმზადებლობის გამო დისტანცია ვერ დაამთავრეს და გამარჯვებული არ გამოვლენილა. როგორც ჩანს, ცუდად ვმუშაობთ ამ ასაკის ახალგაზრდებთან.

გოგონებში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უძლიერესნი იყვნენ ქეთევან მანჩხავა (აფხაზეთი), მარინა ცვეტკოვა, მარინე ავალიანი (ორივე — თბილისი-II) და ია კირთაძე (ქუთაისი).

შემდეგ შეჯიბრებამ ლისის ტბის ტყე-პარკში გადაინაცვლა. აქ ჩატარდა ორეტაპიანი ამანათრბენი. 13 და 17 წლის გოგონებში გაიმარჯვეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, ხოლო 10 და 15 წლის სპორტსმენებში თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა. ბიჭებში შესაბამისად უძლიერესნი იყვნენ თბილისის I და II გუნდები, აგრეთვე ქუთაისელი მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ თბილისის I ნაკრების 16 წევრიდან 12 თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მოსწავლე იყო (დირექტორი გივი ავლოხაშვილი, ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი და თბილისის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი გიორგი ხიდეშელი).



საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის I გუნდმა. მეორე ადგილზე—აფხაზეთის, მესამეზე — ქუთაისის წარმომადგენლები არიან.

**გურამ დოლენჯაშვილი.**

**სურათებზე: მარცხნივ — თბილისის I გუნდი; 10 წლის დავით გოგავა ასპარეზობისას.**

**ავტორის ფოტოები.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

გაცნობებთ, რომ გაზეთ „ლელოში" 1986 წლის 20 მარტს გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი „მივხედოთ ქუთაისის სტადიონს" განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომამ და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სინამდვილეს შეეფერება ის ფაქტი, რომ 27 თებერვალს მიმდინარეობდა სტადიონის ტერიტორიის მოასფალტება და ცენტრალური ლოჟის ფასადის შეღებვა, მოსაწესრიგებელი იყო სტადიონზე მისასვლელი გზა აღმოსავლეთ ტრიბუნის მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და წლის ბოლომდე გაგრძელდება ბალახის ჰოკეისა და ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი (რეგუპოლი) მოედნის მშენებლობა, მძლეოსნობის სარბენ ბილიკებზე დაიგება ხელოვნური საფარი.

სტადიონის აღმოსავლეთ ნაწილში შენდება სახანძრო გამოყენებითი სპორტისთვის საჭირო სპორტული ნაგებობა; მიმდინარეობს სათადარიგო ფეხბურთის მოედნის კაპიტალური შეკეთება. აღნიშნულ სამუშაოზე დაიხარჯება 600 ათასი მანეთი.

გაცნობებთ, რომ სტადიონი ახალი საფეხბურთო სეზონისთვის ჩაიბარა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის ინსპექტორმა და ქალაქში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, ამასთან, სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად მილიციის სამმართველომ შეიმუშავა სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა; ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ყოველ მატჩზე მობილიზებულია 600-ზე მეტი სახალხო რაზმელი.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ გაზეთ „ლელოს" სარედაქციო წერილის კრიტიკული შენიშვნებიდან გამოტანილია სწორი დასკვნები. ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოები, სპორტკომიტეტი და სტადიონის დირექცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საფეხბურთო მატჩები ნორმალურად ჩატარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიელები გამოეთხოვნენ ჩემპიონობას...

MEXICO 86

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

**მეხიკო, სტადიონი „ოლიმპიკო"-68, 17 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი ჩემპიონი: მსოფლიოსი — იტალია და ევროპისა — საფრანგეთი. არგენტინელმა არბიტრმა კარლოს ესპოზიტომ მინდორზე გამოიძახა მეტოქეები, ცენტრში ერთმანეთს მიესალმნენ კაპიტნები — იტალიელი გაეტანო შირეა და ფრანგი მიშელ პლატინი. ორივე ეს განთქმული ფეხბურთელი ახლა იტალიის ცნობილ პროფესიულ კლუბ „იუვენტუსში" თამაშობს გვერდიგვერდ, მაგრამ დღეს ისინი მეტოქეები არიან...

იშვიათად, ალბათ, მხოლოდ ასეთი დიდი რანგის შეჯიბრებებში თუ იყრიან თავს ერთად მინდორზე ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელები. ამ მატჩში ევროპული ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატები მონაწილეობდნენ: პლატინი და შირეა, ტიგანა და კონტი, ამორო და გალი, როშტო და ბანი, ჟირესი და კაბრინი, სტოპირა და ალტობელი, ბატისტონი და ბერგომი, ფერნანდესი და დი ჯენარო და სხვანი და სხვანი. მთელი თანავარსკვლავედი.

ჩემპიონთა შეხვედრა, მართლაც, უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში, მაღალ საფეხბურთო დონეზე ჩატარდა, მაგრამ, მაინც, ვფიქრობთ, თამაშში მაღალ კლასსა და ოსტატობას უფრო დაძაბულობა, ბრძოლის სიმწვავე და ნერვიულობა ჭარბობდა. პირველად „გონს მოვიდნენ" ფრანგები და ამაზე, ეტყობა, პლატინის მიერ მე-13 წუთზე გატანილმა გოლმა მოახდინა გავლენა, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა მიიღო როშტოს ზუსტი გადაცემა, პირისპირ გავიდა მეკარე გალისთან და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

ამ გოლის შემდეგ ფრანგმა ფეხბურთელებმა მეტი დაჯერებით, დარწმუნებით და აუღელვებლად ითამაშეს, იტალიელები კი, პირიქით, შებორკილი ჩანდნენ, ხშირად კარგავდნენ ბურთს, ნელა მოძრაობდნენ, მათი საუკეთესო ბომბარდირი ალტობელი სადღაც მიიკარგა ფრანგების დაცვის რიგებში, შეტევის დამამთავრებელი კი სხვა არავინ გამოჩნდა. ვერც ერთმა იტალიელმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო მეთაურის როლი ეკისრა. აქა-იქ თუ გაიელვებდა კონტის, დე ნაპოლის ოსტატობა, დანარჩენები კი, თითქოს, რაღაც მეორეხარისხოვანი, „შავი სამუშაოთი" იყვნენ დაკავებული და მინდვრის შუაში თამაშს ამჯობინებდნენ. მათ შენელებულ შეტევებს ფრანგი ფეხბურთელები ყოველთვის დროზე უვნებელყოფდნენ.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ როცა ევროპის ჩემპიონებმა სწრაფად გაითამაშეს მრავალსვლიანი კომბინაცია, რომლის დასასრულს ტიგანამ კარის სიახლოვეს ღია პოზიციაში გაიყვანა სტოპირა და ამ უკანასკნელმაც მეორედ აიძულა მეკარე გალი ბადიდან გამოეტანა ბურთი, შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, გადაწყდა.

ფრანგებმა გაიმარჯვეს, მათ უფრო აკადემიურად, სოლიდურად ითამაშეს, საგოლე მომენტებიც მეტი შექმნეს მსოფლიოს აწ უკვე ყოფილ ჩემპიონთა კართან.

ახლა მეოთხედფინალში თავისებური „ნაადრევი ფინალი" მოგველის: 21 ივნისს გვადალახარას სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდები! ფინალი — ფინალამდე!!

ამავე დღეს, სხვა მერვედფინალურ მატჩში უაღრესად ძნელი გამარჯვება მოიპოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა. მათ დაამარცხეს მაროკოს ნაკრები, მაგრამ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 1:0. დასავლეთგერმანელები მთელი მატჩის მსვლელობაში ამაოდ ცდილობდნენ მაროკოელთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევას, მოკრძალებულ გამარჯვებას მათ მთელი თავიანთი ძალა და უნარი შეალიეს.

მაროკოელთათვის თვით მერვედფინალში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მაროკოს ეროვნულ ნაკრებში ახლა რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის, რომლებიც საფრანგეთისა და შვეიცარიის პროფესიულ გუნდებში თამაშობენ: მერი კრიმაუ, მერი მუსტაფა, ხიადაუი მანსუფი, ხანინი ხასა, ამინალაჰ ახედინი, ბუდერბალა აზიზი და, გარდა ამისა, აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი მოჰამედ ტიმუმი.

ამ ფეხბურთელებს გამოცდილება არ აკლიათ, მათ თავიდანვე შენელებულ ტემპზე აიღეს კურსი, ყოველნაირად შეეცადნენ მოესპოთ მეტოქისთვის სწრაფი გარღვევების საშუალება და თამაში შუა მინდორში „ჩაახშეს". დასავლეთგერმანელთა რიგებში გამოდიოდნენ ალოფსი, რუმენიგე, მაგატი, ბრიგელი, ფიორსტერი, მატეუსი, იაკობსი, ლიტბარსკი და სხვანი, მაგრამ ისინი რამდენიმე სახიფათო შეტევას დასჯერდნენ და იძულებული იყვნენ მინდვრის შუაგულში ემოქმედათ. მაროკოელთა გაძლიერებული დაცვის რიგების დაძლევა ძალზე ძნელი საქმე გამოდგა.

საქმე, თითქოს, დამატებით დროს უნდა გადაეწყვიტა. მატჩის დამთავრებას აკლდა 20 წუთი, 15 წუთი, 10 წუთი, 5 წუთი, 2 წუთი... და მხოლოდ აქ შეძლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ერთადერთი, გადამწყვეტი ბურთის გატანა: მაროკოელთა კარში საჯარიმო დაინიშნა, მცველებმა რიგიანად ვერ აღმართეს კედელი და მატეუსის შორეულმა, ძლიერმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0.

მეოთხედფინალში კვლავ მეტად საინტერესო მატჩია: 21 ივნისს მონტერეიში ერთმანეთს შეხვდებიან მექსიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

საფრანგეთ — იტალიის გუნდების შეხვედრის შემდეგ თავიანთი აზრი გამოთქვეს მწვრთნელებმა.

**ანრი მიშელი (საფრანგეთი):** „დიდად კმაყოფილი ვარ მატჩის შედეგით, საფრანგეთის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატების შეხვედრებში პირველად დაამარცხეს იტალიის გუნდი, ეს წარმატება მხოლოდ კოლექტიური თამაშის შედეგია, ჩვენმა ცალკეულმა საუკეთესო ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი უნარი, შესაძლებლობანი და ოსტატობა დაუქვემდებარეს კოლექტივს. სამწუხაროდ, ტრავმის გამო, დაგვაკლდა ფერნანდესი, მისი მონაწილეობა ბრაზილიელებთან მეოთხედფინალურ მატჩში ძალზე საეჭვოა, ბრაზილიელები კი, როგორც ხედავთ, სრულიად ახალი, მომეტებული ძალით თამაშობენ ყოველ შემდგომ მატჩში... მაინც უნდა ვიბრძოლოთ ნახევარფინალში მოსახვედრად".

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მეტად საინტერესო იყო იტალიელთა ხელმძღვანელის **ენცო ბეარზოტის** გამოსვლა. მან წყნარად მოუკიდა ჩიბუხს, გაიღიმა და თქვა: „მზად ვარ ყოველგვარი მოულოდნელობისთვის. ორმოცი წელია მწვრთნელად ვმუშაობ, გამარჯვებებსაც შევეჩვიე და დამარცხებებსაც, იტალიის გუნდის დღევანდელი წაგება, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ბრალია. ცხადია, თამაშისთვის სამზადისის დროს შეცდომა დავუშვი, ფეხბურთელებმა კი ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ. ჩემი აზრით, ეს მარცხი არ შეიძლება იტალიური ფეხბურთის რეგრესად მივიჩნიოთ. მერვედფინალში ძალზე ძლიერ გუნდს დავუთმეთ და სწორედ ასეთ მაგალითებზე უნდა ვისწავლოთ. ფრანგები უკეთ თამაშობდნენ, მათ ისეთი მოთამაშე ჰყავთ, როგორიც პლატინია, ჩვენ კი ასეთი ოსტატი არ გაგვაჩნია. პლატინის ნეიტრალიზება ჩვენს მცველს ბერესის მივანდე, რომელიც „იუვენტუსში" გამოდის პლატინისთან ერთად, მაგრამ პლატინისთან ბრძოლა ბერესის შესაძლებლობებს აღემატება. საერთოდ, საფრანგეთის ნაკრები ახლა ზენიტშია, ეს გუნდი ძლიერად თამაშობდა 1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, 1984 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიგო და ახლაც, როგორც ხედავთ, სრულ ფორმაშია".

მიმომხილველებს ბევრი შეკითხვა ჰქონდათ ენცო ბეარზოტთან, მაგრამ მან ბოდიში მოიხადა, ქუდი დაიხურა და დატოვა „ოლიმპიკოს" სტადიონის პრესცენტრი.



## „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

**სსრ კავშირის** საფეხბურთო თასის მერვედფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იქნება ამ პრიზის ხუთგზის მფლობელი — მოსკოვის „ტორპედო".

გათამაშების ამ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მინსკი), „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ხიმიკი" (გროდნო), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „კოლოსი" (ნიკოპოლი), „დინამო" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი), ხოლო კიროვაბადის „ქიაფაზის" მეტოქე იქნება სტავროპოლისა და კიევის დინამოელთა მატჩში გამარჯვებული.

თუ სად შედგება მერვედფინალური მატჩები, დადგინდება 20 ივნისს წილისყრის მეშვეობით, ხოლო თამაშები გაიმართება 6 ივლისს.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

### აღმოსავლეთი ჯგუფი

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „ივერია" (ხაშური) 1:0. მსაჯი მ. ქელიძე (თბილისი). გოლი: ი. ნოზაძე („ქართლი").

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს „ქართლის" ფეხბურთელი ლ. რაზმაძე.

**„მადნეული" (ბოლნისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ქობულაძე, ბეს. უგულავა, ჯაფარიძე-2 („მადნეული"), ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

**„იმედი" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:2. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: ნერსეზაშვილი, მინდიაშვილი („დურუჯი"), ბაკურაძე („იმედი").

**„არმაზი" (მცხეთა) — „სინათლე" (თბილისი) 0:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: მაღრაძე, კანდელაკი („სინათლე").

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ხუჯაძე, კაკაბაძე („მეტალურგი"), მებუკე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გადაიდო თბილისის არმიელთა გუნდისა და თელავის „კახეთის" შეხვედრა.

### დასავლეთი ჯგუფი

**„ხულორი" (ვანი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:1. მსაჯი ზ. ჯინჯარაძე (მახარაძე).** გოლები: გეფერიძე, ნეფარიძე, შარაშენიძე („სულორი"), ბართაია („სალხინო").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ჩოგოძე, სალუქვაძე („მერცხალი").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი ვ. ხუციშვილი (თბილისი).**

განზრახ დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს ჩხოროწყუელი მ. ალთუნაშვილი.

**„სქური" (წალენჯიხა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).** გოლები: აბრალავა, ბ. კვარაცხელია („სქური"), ლოგუა („ამირანი").

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი თ. გაგუა, დროის განზრახ გაყვანისთვის — წალენჯიხელი ჯ. ქარდავა.

**„ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (ქუთაისი) 1:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლი: კალანდაძე („ბახმარო").

**„დინამო" (გაგრა) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).** გოლი: ტესლენკო (გაგრა).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გაგრელი ფეხბურთელები გ. შონია, ი. სიმონოვი, გ. ლოლუა და გ. კვარაცხელია, აგრეთვე, ზუგდიდელი ფეხბურთელი კ. თუთბერიძე.

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „ალგეთი" (მარნეული) — „განთიადი" (კასპი) 1:0, „მშენებელი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „კოლმეურნე" (მარნეული) 1:0, „თრიალეთი" (წალკა) — „არაგვი" (დუშეთი) 4:4, „გარეჯი" (საგარეჯო)— „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:2, „სამგორი" (გარდაბანი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 5:2, „გარისი" (თეთრი წყარო) — „მუხნარი" (მუხრანი) 1:1.

**ცენტრალური ზონა.** „ზარზმა" (ადიგენი) — „ვარძია" (ასპინძა) 3:2, „თორი" (ბორჯომი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:1, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:1, „იბერია" (ქარელი) — „მაღაროელი" (ჭიათურა)" 1:5, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:3, „მესხეთი" (ახალციხე) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 2:1, „დილა" (წულუკიძე)— „ხვამლი" (ცაგერი) 2:1, „აბული" (ახალქალაქი) — „რაჭა" (ამბროლაური) 7:1.

**დასავლეთი ზონა.** „ნარინჯი" (გონიო) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 1:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „კოლმეურნე" (გაგრა) 5:2, „ზანა" (აბაშა) — „მზიური" (გალი) 0:0, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ალიონი" (გალი) 4:3, „ნაპერწკალი" (ოქუმი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 4:2.

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 19 ივნისისთვის**

### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურ." | 13 | 10 | 1 | 2 | 27-11 | 21 |
| „შევ."-სპი | 12 | 8 | 1 | 3 | 31-14 | 17 |
| „კახეთი" | 12 | 7 | 2 | 3 | 21-18 | 16 |
| „მადნეული" | 13 | 7 | 1 | 5 | 27-20 | 15 |
| ფიზკ. ინს. | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 15 |
| „ქართლი" | 13 | 6 | 2 | 5 | 9-11 | 14 |
| „დურუჯი" | 13 | 6 | 2 | 5 | 11-17 | 14 |
| „სინათლე" | 13 | 5 | 2 | 6 | 8-9 | 12 |
| „არმაზი" | 13 | 4 | 3 | 6 | 19-22 | 11 |
| „იმედი" | 13 | 2 | 6 | 5 | 9-16 | 10 |
| „ივერია" | 13 | 4 | 1 | 8 | 14-19 | 9 |
| „სპარტაკი" | 13 | 4 | 1 | 8 | 12-21 | 9 |
| ასკ თბ. | 12 | 1 | 1 | 10 | 5-22 | 3 |

### დასავლეთი ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." ზ. | 13 | 8 | 1 | 4 | 33-18 | 17 |
| „სალხინო" | 13 | 7 | 3 | 3 | 21-14 | 17 |
| „სამეგრ." | 13 | 7 | 2 | 4 | 17-10 | 16 |
| „დინამო" გ. | 13 | 7 | 2 | 4 | 23-19 | 16 |
| „მერცხალი" | 13 | 7 | 1 | 5 | 20-9 | 15 |
| „სქური" | 13 | 6 | 2 | 5 | 16-23 | 14 |
| „შადრევანი" | 12 | 6 | 0 | 6 | 22-17 | 12 |
| „საპოვნელა" | 13 | 6 | 0 | 7 | 21-21 | 12 |
| „ამირანი" | 13 | 6 | 0 | 7 | 15-22 | 12 |
| „ეგრისი" | 13 | 4 | 4 | 5 | 16-21 | 12 |
| „იმერეთი" | 13 | 3 | 3 | 7 | 10-17 | 9 |
| „სულორი" | 13 | 3 | 3 | 7 | 10-18 | 9 |
| „ბახმარო" | 13 | 3 | 1 | 9 | 9-24 | 7 |

• • •

**საქართველოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ყოველი ტურის საანგარიშო წერილებში, როგორც წესი, აღვნიშნავთ უკლებლივ ყველა იმ დარღვევას, რომლებიც ამ მეტად საინტერესო, ღირსშესანიშნავ შეჯიბრებაში ხდება.**

**ყველამ, ვინც კი სპორტთან, კერძოდ, ფეხბურთთანაა დაკავშირებული, კარგად იცის თუ რა უშეღავათო, შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს ახლა ჩვენს ფეხბურთში უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად, საამისოდ მობილიზებულია საქართველოს სპორტსახკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აქტივი, სამართალდამცველი ორგანოები, ყველგან — ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში, დაბებში, სადაც რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებები მიმდინარეობს, ვცდილობთ არ მოხდეს არც ერთი დარღვევა, ადგილებზე საგანგებოდ მივლინებული ინსპექტორები, საზოგადოებრივი მეთვალყურეები ,მკაცრად ადევნებენ თვალს ფეხბურთელებსაც, მსაჯებსაც, მეტისმეტად აგზნებულ გულშემატკივრებსაც. საერთო წესრიგისათვის იბრძვის ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი ფეხბურთის აწმყო და მომავალი.**

**ამ ერთობლივმა ღონისძიებებმა საჭირო შედეგიც გამოიღო და სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო: დისციპლინა ყველას საზრუნავია და როცა ასეთი ერთიანი ძალისხმევა სუფევს, საფეხბურთო ხულიგნებიც ველარ ბედავენ იმას, რის უფლებასაც უწინ აძლევდნენ საკუთარ თავს.**

**მაგალითისათვის განვიხილოთ ბოლო 5 ტურის მაჩვენებლები უფრო კონკრეტულად ის, რაც 17 მაისიდან მოხდა ჩვენს საფეხბურთო ასპარეზობებში.**

**ამ ერთი თვის მანძილზე მინდვრიდან გააძევეს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი. 18 მაისს ცხაკაიას „ეგრისისა" და ზუგდიდის „დინამოს" მატჩში უხეში თამაშისათვის მინდორი დაატოვებინეს „ეგრისის" ფეხბურთელს ჯ. ყურაშვილს. მას შემდეგ ასეთი ექსცესი ჩვენს სტადიონებზე არ მომხდარა, წითელი ბარათისათვის მსაჯებს აღარ მიუმართავთ.**

**ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია, მაგრამ მარტოოდენ მინდვრიდან გაძევების ფაქტით არ ამოიწურება ის ნაკლოვანებები და დარღვევები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმარისად ხდება ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში. „წვრილ-წვრილი" დარღვევები მაინც არის, ფეხბურთელები ყოველ ტურში უხეშობენ, ეკამათებიან მსაჯებს, ეკინკლავებიან მეტოქეებსაც, თანაგუნდელებსაც და მაყურებელს სრული უფლება აქვს მიიჩნიოს, რომ ეს უმნიშვნელო კი არა, საკმაოდ სერიოზული დარღვევებია. რასაკვირველია, ფეხბურთი მეტად ემოციური, მძაფრი, უშეღავათო თამაშია, ნერვების მოთოკვა და თავის დაჭერაც ყოველთვის იოლი არაა, მაგრამ როცა დემონსტრაციულად არ ეთანხმები მსაჯს და საკუთარი თავი მართალი მიგაჩნია, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მართლა უცოდველი კრავი ხარ, რომ უწესოდ უნდა მოიქცე მინდორზე და დაუშვებელი ფორმებით გამოხატო საკუთარი პროტესტი. მით უფრო, რომ არსებითად დამნაშავე ხარ. ამიტომ იყო, რომ მსაჯის მიმართ უკმაყოფილების გამოთქმისათვის ყვითელი ბარათი დაიმსახურეს ჩოხატაურელმა გ. ხვიჩიაშვილმა, მახარაძელმა ი. დოლიძემ, გაგრელმა მ. მოხიავამ, ხაშურელმა ვ. ხაჩიძემ, თბილისის არმიელმა მ. ქადაშვილმა. მინდორზე კინკლაობდნენ ზუგდიდელი ფეხბურთელები ე. ჰედია, ო. თუთბერიძე, გ. ჩიჩუა.**

**განსაკუთრებით მოჭარბდა ბოლო ხანებში ამგვარი დარღვევა: მსაჯის სასტვენის შემდეგ უკმაყოფილო ფეხბურთელი, თუნდაც იგი აშკარა დამნაშავე იყოს, განზრახ მოისვრის ბურთს და რაც შეიძლება შორს. ასეთი საქციელი ჩაიდინეს მახარაძელმა ბ. კაშიამ, წალენჯიხელმა ბ. კვარაცხელიამ, ყვარლელმა შ. ნერსეზაშვილმა, თელაველმა მ. აჭამაშოლოვმა, ქუთაისელმა ზ. მსხილაძემ, წყალტუბოელმა მ. კუხიანიძემ და სხვებმა.**

**მსაჯებს უჭირთ სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის გათამაშებისას 9-მეტრიანი დისტანციის დაცვა. მათ საგანგებო ზომებს უნდა მიმართონ, რომ ფეხბურთელმა უკან დაიხიოს თამაშის კოდექსით ზუსტად დადგენილ მანძილზე — 9 მეტრზე, საამისოდ მსაჯმა ხშირად უნდა მოიშველიოს ყვითელი ბარათი.**

**ვიმეორებთ, ე. წ. „წვრილმანი" დარღვევა მაინც დარღვევაა, ამიტომაც ფეხბურთელებმაც და მწვრთნელებმაც ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა საქართველოს ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობდეს ჯენტლმენურად, უწესრიგობათა გარეშე.**



## ციტატა

**ჟურნალის** მე-6 ნომერში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა“. მისი ავტორია რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი გვესაუბრება ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, გვთავაზობს ყოველდღიური ვარჯიშების კომპლექსს. წერილში ვკითხულობთ:

**„მუშაობის ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოვუვლით ჩვენს „მეურნეობას“ — სტადიონებს, სპორტულ დარბაზებს, აუზებს. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იგრძნობა მათი ნაკლებობა, ამიტომ მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ სტადიონებისა და საცურაო აუზების მაქსიმალურად დატვირთვას, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, მძლეოსნობა, კერძოდ, გამაჯანსაღებელი სირბილი და სიარული, აგრეთვე ცურვა, მოსახლეობის მასობრივად გაჯანსაღების ყველაზე კარგი საშუალებაა“.**

## ადლერსა და სოჭში

**ადლერში** გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის მოჭიდავეები (მწვრთნელები — კ. შაბურიშვილი და გ. ალექსანიანი). ჩვენი ფალავნები გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ, პირად ტურნირში კი ხუთი მედალი მოიპოვეს. მძიმე წონის ძიუდოისტთა შორის უძლიერესი იყო ირაკლი ლომიშვილი, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი აბო ნარიმანაშვილი დაამარცხა. მესამე ადგილები დაიკავეს მერაბ მაზანაშვილმა (53 კგ), ზაზა შერვაშიძემ (57 კგ) და გია კბილცეცხლაშვილმა (62 კგ).

სოჭში ჭაბუკ ძიუდოისტთა საქალაქთაშორისო ტურნირში იასპარეზა თბილისის „დინამოს“ ნაკრებმა. შეჯიბრებაში 17 გუნდი მონაწილეობდა. მეორე ადგილები დაიკავეს ნიკო ქენქაძემ (53 კგ), ზაზა მერმანიშვილმა (83 კგ), და ჯაბა ნარიმანაშვილმა (+83 კგ), მესამე — კახა კიკვიძემ (62 კგ), კახა ბერუაშვილმა (75 კგ) და დათო კეველიშვილმა (+83 კგ).

## ტურისტულ ბილიკებზე ალმასკომის თანამშრომლები

**თბილისის** საბურთალოს რაიალმასკომის თანამშრომლებმა ჩაატარეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ლისის ტბა — სოფელი ლისი — წოდორეთი — თბილისი. ამ ღონისძიებაში გამოდიოდა 60-მდე კაცი, რომლებსაც სათავეში ედგა რაიალმასკომის თავმჯდომარე დ. ჯაფარიძე. ალმასკომის თანამშრომლებმა წოდორეთში გამართეს შეჯიბრებები ბაგირის გადაძალვაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ფრენბურთში...

ამ ღონისძიებით ყველა კმაყოფილი დარჩა და ალმასკომის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთი ტურისტული ლაშქრობები ტრადიციად აქციონ.

# კეთილი ნების თამაშები

(დასასრული)

ლაში (ჩოგბურთში), მოსკოვის მახლობლად მდებარე ქალაქ ვიდნოეში (მოტობოლი), ტალინის ყურეში.

თამაშების მონაწილეთ მრავალმხრივი კულტურული პროგრამა მოელით. „ოლიმპიური მოდელით“ იმუშავებს ტრანსპორტი, პრესსამსახურები. მთავარი პრესცენტრი იმუშავებს ზუბოვსკის ბულვარზე მდებარე ოლიმპიურ პრესცენტრში. საკუთარი სუბპრესცენტრები იქნება უშუალოდ შეჯიბრების ჩატარების ადგილებზე, იქმნება სატელევიზიო-ტექნიკური სუბპრესცენტრი.

სავარაუდოდ თამაშებზე აკრედიტებული იქნება ათასამდე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი, მათ შორის შეერთებული შტატების 350 წარმომადგენელი. საჭირო ინფორმაციას მათ მიაწვდის მართვის ავტომატური სისტემა „ოლიმპიადა“.

თამაშებს ფართოდ გააშუქებს საბჭოთა ტელევიზია. ჩვენების უფლება შეიძინა ამერიკის შეერთებული შტატების 75 ტელესადგურმა, საიდანაც 35 ყველაზე ცნობილი ტელეკომენტატორი ჩამოვა. თამაშებს ტელეეკრანებზე ნახავენ სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებიც. საბოლოო ანგარიშით, თამაშებს მილიარდამდე მაყურებელი ეყოლება.

კეთილი ნების თამაშებს ძალზე დიდი პროპაგანდა უკეთდება. ტარდება სპეციალური სემინარები (ერთ-ერთი ყველაზე დიდი სემინარი ორგანიზატორების, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელების, ჟურნალისტების მონაწილეობით ჩატარდა რომში), გამოიცა თამაშებისადმი მიძღვნილი მარკები.

მაგრამ მთავარი იყო რეგულარული პრესკონფერენციების ჩატარება, მრავალრიცხოვან ტელე და რადიოგადაცემებში მონაწილეობა. სპორტის ბევრი „ვარსკვლავი“, უპირველეს ყოვლისა კი საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენები, შარშან დეკემბრის შემდეგ ეწვივნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადას, იაპონიას, ავსტრალიას, ევროპის ბევრ ქვეყანას. ამერიკულ სპორტს, კერძოდ, წარმოადგენდნენ კეროლ ლუისი და ტერი შრიოდერი. ჩვენი ქვეყნიდან იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ვ. სანეევი, ლ. ბრაგინა, ა. დიტიატინი, გ. კარპონოსოვი, ნ. ლინიჩუკი, ა. ბელოგლაზოვი, ს. ანდიევი, მსოფლიოს ექსჩემპიონები გ. ცარიოვა, ი. მოისეევა.

ვიქტორ სანეევი ეწვია რამდენიმე ამერიკულ სპორტულ ცენტრს, სკოლებს, იყო ქვეყნის კონგრესის სტუმარი, ხოლო წამოსვლის წინ იგი და ამერიკელი სპორტსმენები თეთრ სახლში მიიღო ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. თავის განცხადებაში მან აღნიშნა, რომ კეთილი ნების თამაშები უპასუხებს ჟენევის სულისკვეთებას, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დიალოგს ყველაზე მაღალ დონეზე.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ვ. სანეევის გამოსვლამ. მან განაცხადა, რომ, თუ მართლაც არის კეთილი ნება, მაშინ ყოველგვარი ბარიერის დაძლევა შეიძლება და ამიტომ ეს თამაშები საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის საქმეში შეტანილ წვლილად უნდა ჩაითვალოს.

კეთილი ნების თამაშები უნდა იქცეს სერიოზულ ნაბიჯად მსოფლიო სპორტის განვითარების საქმეში და ჩვენი ქვეყანა მზადაა სტუმართმოყვარედ შეხვდეს მის მონაწილეებს.

**ალბერტ ლეიკინი,**
**კეთილი ნების თამაშების პრესცენტრის პასუხისმგებელი მდივანი.**

## ინფორმაცია

**ალმა-ათა.** ყაზახეთის სპარტაკიადაზე 90 კგ. წონითი კატეგორიის ათლეტმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ანატოლი ხრაპატიმ აკვრაში მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა — 233,5 კგ. სამწუხაროდ ამ რანგის შეჯიბრებებში მსოფლიო რეკორდების რეგისტრაცია არ ხდება.

**მინსკი.** ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულთა კვარცხლბეკი მთლიანად მოსკოვის ოლქის დინამოელებმა დაიკავეს: პირველი იგორ შვარცი იყო, მეორე — ბორის სიდოროვი, მესამე ალექსანდრე აფონინი. გუნდური გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა (იგორ შვარცი, ანატოლი ავდეევი, ევგენი ლიპეცკი). უცხოელ ხუთჭიდელთაგან საუკეთესო შედეგი ბელორუსელ მაცეი ჩიჟოვიჩს ჰქონდა.

**მოსკოვი.** ბიტცის საცხენოსნო კომპლექსში დაიწყო სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი ცხენის გახედვნასა და კონკურში. ოქროს მედლებისთვის იბრძვიან მოსკოვის ოლიმპიური თამაშების, საკავშირო და საერაშორისო ტურნირების პრიზიორები.

**ანდიჟანი.** დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ვაჟთა შორის. სატურნირო ცხრილში 16 ქულით პირველ ადგილზეა ადგილობრივი „ზვეზდა“, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ალმა-ათის „დინამოს“, სვერდლოვსკის არმიელთა და მოსკოვის „ფილის“ კოლექტივები. ეს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** **19 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ინგლისი — პარაგვაი (მეორე ტაიმი) — **10.10 (1)**; დანია — ესპანეთი (მეორე ტაიმი) — **10.55 (1)**; დანია — ესპანეთი — **19.00 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **12.45 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.30 (2)**;

**20 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში — **12.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **14.45 (2)**; საჭადრაკო სკოლა — **19.20 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.** **19 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ინგლისი — პარაგვაი — **10.10.** დანია — ესპანეთი — **10.55**; დანია — ესპანეთი — **19.00.**

**საქართველოს რადიო. 19 და 20 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15**; რიტმული ვარჯიში — **11.40.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1986-87 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე

დღის სწავლებაზე მიღება ცხადდება პედაგოგიურ და მწვრთნელთა ფაკულტეტებზე.

**პედაგოგიური ფაკულტეტი** ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორებს.

ფიზიკური კულტურის მასწავლებლის სპეციალობაზე მიიღებიან ფეხბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები და მოცურავეები (ქართული და რუსული სექტორები), რომელთაც აქვთ III სპორტული თანრიგი არჩეულ სახეობაში.

მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის ორგანიზატორთა სპეციალობაზე მიიღებიან ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სპორტული თანრიგი ნებისმიერ სახეობაში (ქართული სექტორი).

**მწვრთნელთა ფაკულტეტზე,** რომელიც ამზადებს მასწავლებელ-მწვრთნელებს სპორტის სახეობათა მიხედვით, მიიღებიან კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, სამბისტები, ძიუდოისტები, მოკრივეები, ველოსიპედისტები, სპორტული ტანმოვარჯიშეები, აკრობატები, მშვილდოსნები და ტყვიის მსროლელები, თანამედროვე ხუთჭიდელები, მოფარიკავეები, მოთხილამურეები, ფეხბურთელები და ნიჩბოსნები (ქართული და რუსული სექტორები), რომელთაც აქვთ II სპორტული თანრიგი არჩეულ სახეობაში.

**დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი** ამზადებს მწვრთნელებს (ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ცხენოსნობა, ჭიდაობა), ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორებს.

დღის განყოფილებაზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი.

დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთა ასაკი განუსაზღვრელია. პირველ რიგში მიიღებიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მომუშავენი, ან ის პირები, რომელთაც აქვთ საშუალო ფიზკულტურული განათლება. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირისა და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი სარგებლობენ იმ პირთა უფლებებით, რომელთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება არჩეულ სპეციალობაში.

რექტორის სახელზე შემოსულ განცხადებას უნდა დაერთოს:

1. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი);
2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად (დამოწმებული სასწავლებლის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ);
3. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 086);
4. ექვსი ფოტოსურათი (ზომა (3X4);
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავეთათვის). კოლმეურნეთათვის გაცემულ ამონაწერში შეტანილი უნდა იყოს კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი;
6. საკლასიფიკაციო ბილეთი (თანრიგის მოწმობა);
7. მშდ კომპლექსის წიგნაკი;
8. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

ინსტიტუტში შემსვლელებს, რომლებსაც საშუალო სასწავლებელი მიმდინარე სასწავლო წელს არ დაუმთავრებიათ, უნდა ჰქონდეთ სამუშაო სტაჟი არანაკლებ 6 თვისა ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ.

დღის განყოფილებაზე მწვრთნელისა და მასწავლებლის სპეციალობის, აგრეთვე დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მწვრთნელის სპეციალობით შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სპორტის არჩეული სახეობა;
2. ფიზიკური მომზადება და ცურვა;
3. ბიოლოგია (ზეპირი);
4. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);

დღის განყოფილებაზე მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორის, აგრეთვე დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მასწავლებლის, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორის სპეციალობებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ფიზიკური მომზადება და ცურვა;
2. ბიოლოგია (ზეპირი);
3. მშობლიური ენა (წერა).

საშუალო სკოლის მედალოსნები, აგრეთვე ის აბიტურიენტები, რომელთაც ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი წარმატებით აქვთ დამთავრებული, გამოცდებს ჩააბარებენ მხოლოდ სპეციალობაში (სპორტის სახეობები და ფიზიკური მომზადება). იმ შემთხვევაში, თუ შეფასება „5“ დაიმსახურეს, ისინი თავისუფლდებიან შემდეგი გამოცდებისგან.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, რომლებმაც დაამთავრეს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი ან მწვრთნელთა სკოლა და აქვთ პედაგოგიური მუშაობის ერთი წლის სტაჟი, განათლების ორგანოების მომართვის საფუძველზე გამოცდას აბარებენ მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაში.

დაუსწრებელ განყოფილებაზე საბუთები მიიღება 20 ივნისიდან, ხოლო დღის დასწრებულზე — 1-დან 31 ივლისის ჩათვლით. გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს.

დღის სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელებს შეუძლიათ გაიარონ საპროფორიენტაციო გასაუბრება. გასაუბრების შედეგად სპეციალური კომისიის მიერ დადგენილი საპროფორიენტაციო ქულა დაემატება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულებს.

**შენიშვნა:** აბიტურიენტი, რომელიც ცურვას ვერ ჩააბარებს, მოიხსნება გამოცდებიდან.

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ინსტიტუტში, მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: 380062 — თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

ტელეფონი: 23-18-24.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1 ივლისიდან დაიწყება მეცადინეობა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა.**

მსურველებმა 20 ივნისიდან 30 ივლისამდე უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ატესტატის ასლი (ვინც წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას, ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ) და საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის სახეობაში.

1986 წლის მიღების წესების თანახმად, ის პირნი, რომლებიც წარმატებით გაივლიან აღნიშნულ კურსებს, მიიღებენ საპროფორიენტაციო 1 ქულას. სწავლება იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია და ცურვა.

კურსებზე სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49 ა, ტელ: 23-06-24, 23-32-69.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07562